„დამტკიცებულია“

სს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა

რიგგარეშე საერთო კრების 01.06.2026 წლის

N:52 საოქმო გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება

„სარაჯიშვილის“

წესდება

თბილისი

2026 წ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

სს სარაჯიშვილის კონსოლიდირებული წესდება 01.06.2026 წლის მდგომარეობით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“ (შემდგომში „საზოგადოება“) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 11.07.1994 წლის #02.04.26 დადგენილების საფუძველზე და რეგისტრირებულია ქ.თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 27 სექტემბრის N1ა/5-20 დადგენილებით. (საიდენტიფიკაციო კოდი 209444065)

1.2 საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა - სააქციო საზოგადოება.

1.3 საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:

ქართულ ენაზე - **სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“ (სს „სარაჯიშვილი“);**

ინგლისურ ენაზე - **Joint Stock Company "Sarajishvili"**

რუსულ ენაზე - **Акционерное общество "Сараджишвили" (АО Сараджишвили)**

1.4 საზოგადოების იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, 0178, დავით სარაჯიშვილის გამზირი N4.

1.5 სს „სარაჯიშვილი“ არის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობანი, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. იგი 2008 წლიდან წარმოადგენს სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ სამართალმემკვიდრეს.

1.6 საზოგადოება, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოებას აქვს საკუთარი სიმბოლიკა და საკუთარი ბეჭედი.

1.7 საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ანგარიშსწორების ანგარიშები და სხვა ანგარიშები, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში.

1.8 საზოგადოება თავის საქმიანობაში მოქმედებს „შრომის კოდექსით“, საქართველოს კანონებით „მეწარმეთა შესახებ“, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „დემატერიალიზებული ფასიანი

ვალდებების ფლობის შესახებ“ და საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საზოგადოების ამ წესდებით.

1.9 საზოგადოება ფლობს და განაგებს საკუთარ კაპიტალს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და მოქმედებს თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის საფუძველზე.

1.10 საზოგადოება თავისი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. აქციონერი სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებს. საზოგადოება აქციონერთა ვალდებულებებზე პასუხს არ აგებს.

1.11 სახელმწიფო პასუხს არ აგებს საზოგადოების ვალდებულებებზე და საზოგადოება პასუხს არ აგებს სახელმწიფოს ვალდებულებებზე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ასეთ ვალდებულებას თავად აიღებს საზოგადოება.

1.12 საზოგადოების აქციონერები შეიძლება იყვნენ, როგორც საქართველოს რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირებიც.

1.13 საზოგადოების სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

1.14 საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

1.15 ამ გადაწყვეტილებით იცვლება სს „სარაჯიშვილის“ აქციონერთა 09.02.2026 წლის N:51 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 25.02.2026 წლის N:B26027588/5 გადაწყვეტილებით.

<u>მუხლი 2. საქმიანობის მიზანი და საგანი</u>

2.1 საზოგადოების მიზანია, მართლზომიერი საქმიანობის საფუძველზე, მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოთა შესრულებით და პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად, მოგების მიღება.

2.2 საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ყურძნისეული წარმოშობის ბრენდისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

2.3 საზოგადოებას შეუძლია გაწიოს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2.4 2.2 და 2.3 მუხლში მითითებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

2.5 ყველა ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობის მოთხოვნით საჭიროებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას), უნდა განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესით ასეთი ნებართვის მიღების შემდეგ.

2.6 ამ წესდებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. საზოგადოების კაპიტალი და აქციები

3.1 საზოგადოებას აქვს ნებადართული კაპიტალი 10 353 989,13 (ათი მილიონ სამას ორმოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა ლარი და ცამეტი თეთრი) ოდენობით. წესდების რეგისტრაციის მომენტისათვის განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს 10 353 989,13 ლარს.

3.2. საზოგადოებას აქვს განთავსებული ჩვეულებრივი აქციები 1 813 667 ცალის ოდენობით. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 5,70887 ლარს, ხოლო საერთო ნომინალური ღირებულება შეადგენს 10 353 989,13 ლარს. საზოგადოებას სხვა სახის აქციები არ გააჩნია და არც გეგმავს მათ განთავსებას.

3.3 აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით, ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს აქციათა რეესტრიდან ამონაწერი ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი. აქციათა რეესტრიდან ამონაწერის გაცემისთვის პასუხისმგებელია სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო, ხოლო აქციათა რეესტრის დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ წარმოების შემთხვევაში - დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

3.4 აქციონერს შეიძლება მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

3.5 დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ საზოგადოების აქციათა რეესტრის წარმოებისას, აქციების გადაცემა, გასხვისება ხდება შესაბამისი კანონით გათვალისწინებული წესებით. სხვა შემთხვევაში აქციების გადაცემა და გასხვისება ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. თუ სერტიფიკატი გაცემული არ არის, მაშინ საჭიროა აგრეთვე კანონით დაწესებული წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

3.6 აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოებამ, ჩვეულებრივი ხმოვანობითი აქციების გარდა, შეიძლება გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც.

3.7 გარდა აქციებისა, საზოგადოება უფლებამოსილია გამოსცეს ასევე სხვა სახის ფასიანი ქაღალდები, კერძოდ: ობლიგაციები, კონვერსიული სესხის ობლიგაციები, ოფციური სესხის ობლიგაციები, რისთვისაც აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა.

3.8 აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება საზოგადოების კაპიტალის ცვლილება.

3.9 აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, კაპიტალის შემცირება და გაზრდა ხდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 163, 164 და 169 მუხლების პირობების დაცვით.

3.10 საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის ყველა შემთხვევაში აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ საზოგადოების რეგისტრირებულ აქციონერებს, აქციების მთლიანად რაოდენობაში მათი წილის პროპორციულად.

მუხლი 4. ქონება, მოგება, ფონდები, დივიდენდის გაცემის წესი

4.1 საზოგადოების ქონება იქმნება აქციონერთა შენატანებით, სხვა კანონიერი წყაროებით მიღებული შემოსავლებითა და ფასეულობებით.

4.2 საზოგადოება თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს და განკარგავს საკუთარ ქონებას.

4.3 საზოგადოების ქონება დაცულია საქართველოს კანონმდებლობით და არ ექვემდებარება კონფისკაციას ან რეკვიზიციას ადმინისტრაციული წესით. საზოგადოების ანგარიშიდან ფულადი სახსრები შეიძლება ჩამოიწეროს მხოლოდ საზოგადოების მითითებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში - დადგენილი წესით.

4.4 საზოგადოების წმინდა მოგება იქმნება მისი საქმიანობიდან მიღებული ამონაგებიდან, მას მერე, რაც გამოირიცხება წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები და საგადასახადო ვალდებულებები.

4.5 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, საზოგადოების მმართველი ორგანოს მიერ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული წინადადების წარდგინების საფუძველზე, შეუძლია საზოგადოების წლიური სუფთა მოგებიდან შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ფონდი/ფონდები.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ---------- ელგუჯა ბუბუტეიშვილი

4.6 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება ადგენს წმინდა მოგებიდან შექმნილი ფონდის/ფონდების შექმნის, ოდენობისა და მისი გამოყენების წესს.

4.7 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით, შეუძლია დაამტკიცოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს (დირექტორატისა) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა წლიური წმინდა მოგებიდან პრემიებისა და ბონუსების მიღებისა და მათი საპენსიო უზრუნველყოფის წესები.

4.8 საზოგადოებას, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, უფლება აქვს გაანაწილოს დივიდენდებად წლიური წმინდა მოგება, ამასთან შეუძლია გასცეს აქციონერებზე შუალედური დივიდენდებიც.

4.9 საზოგადოებაში დივიდენდების გაცემის ზოგადი აკრძალვა დაუშვებელია. აქციონერის მიერ 5 (ხუთი) წლის ვადაგასული მიუღებელი დივიდენდი საზოგადოებამ უნდა გააუქმოს. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 181-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად აქციონერებს გაუქმებული დივიდენდის მოთხოვნა აღარ შეუძლიათ.

4.10 დივიდენდები დგინდება საზოგადოების აქციონერთა წილების პროპორციულად, აქციების საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცედურების წესების შესაბამისად.

4.11 დაუშვებელია გაცემული დივიდენდის უკან დაბრუნების მოთხოვნა.

4.12 საზოგადოებას არ აქვს უფლება გასცეს დივიდენდი, თუ ეს საზოგადოების გადახდისუუნარობას გამოიწვევს.

4.13 თანაბარ პირობებში აქციონერებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება თუ ეს აუცილებელია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება.

4.14 აქციონერს არ აქვს უფლება საზოგადოების ქონებაზე ან მის ნაწილზე, მათ შორის ქონებაზეც, რომელიც მის მიერ შეტანილია ნებადართულ კაპიტალში.

4.15 დივიდენდის გადახდის (მათ შორის, დივიდენდის მოცულობისა და თითოეული სახის აქციაზე დივიდენდის გაცემის ფორმის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

4.16 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 181 მუხლის პირობების დაცვით, საზოგადოების 0,05 პროცენტამდე აქციების მფლობელებზე დივიდენდების გადახდის ვადა მათი ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს დივიდენდების გაცემის

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

[illegible]ების თარიღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, წლიური დივიდენდების [illegible] მოცულობით.
[illegible]ზოგადოების 0,05 პროცენტზე ზევით აქციების მფლობელებზე დივიდენდების გადახდა [illegible]ება კანონმდებლობის მოთხოვნების და ვადების სრული დაცვით, აქციონერთა 0,05 [illegible]ენტამდე მფლობელებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ.

[illegible]ელი 5. საზოგადოების უფლება-მოვალეობანი

5.1 საზოგადოებას, დასახული მიზნის მისაღწევად უფლება აქვს:

5.2 აწარმოოს ნებისმიერი საქმიანობა, თუ იგი არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

5.3 დამოუკიდებლად მართოს საზოგადოება, განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები.

5.4 შეადგინოს და დაამტკიცოს საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა, შტატები და შიდა განაწესი.

5.5 დააწესოს თავისი პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ფასები და ტარიფები.

5.6 მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ცალკეულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და ქონებრივი უფლებები ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

5.7 შექმნას, გამოსცეს და გაავრცელოს რეკლამა, ბეჭდვითი და აუდიოვიზუალური საშუალებები, განახორციელოს სარეკლამო ხასიათის მქონე ღონისძიებები.

5.8 მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო - ტექნიკურ პროგრამებისა და პროექტების დამუშავებასა და განხორციელებაში, ითანამშრომლოს საზღვარგარეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

5.9 შეინახოს, ააშენოს, გაუკეთოს რეკონსტრუქცია, გაუწიოს ექსპლოატაცია, გაყიდოს, იყიდოს ქონება ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ.

5.10 გახსნას ეროვნული და საზღვარგარეთული ვალუტის ყოველგვარი ანგარიშებები, დადგენილი წესის მიხედვით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

5.11 ისარგებლოს ბანკის კრედიტით, აიღოს და გასცეს სესხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

5.12 გამოუშვას, შეიძინოს და გაყიდოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.13 შექმნას ფილიალები, სააგენტოები, წარმომადგენლობები, ერთობლივი და შვილობილი საწარმოები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სტრუქტურები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

5.14 განახორციელოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

5.15 ჩაატაროს სპორტული და კულტურული ღონისძიებები, გამოფენები, აუქციონები, სემინარები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და სხვა ღონისძიებები, აგრეთვე მიიღოს მათში მონაწილეობა.

5.16 შეასრულოს სასტუმრო, სატრანსპორტო, ტურისტული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

5.17 გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

5.18 შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობიდან, ამ წესდებიდან და საზოგადოების მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

5.19 დაიცვას საქართველოს ინტერესები საგარეო-ეკონომიკური გარიგების დროს, უცხოური ინვესტიციებისა და სხვა რესურსების გამოყენებისას.

5.20 შეასრულოს ყველა საგადასახადო ვალდებულება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.

5.21 განახორციელოს დასაქმებულ მუშაკებთან შეთანხმებით მათი სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის ღონისძიებები, შრომითი საქმიანობის ნორმალურად წარმართვისთვის აუცილებელი ყველა პირობა - საქართველოს კანონმდებლობისა და დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 6. მართვის ორგანოები

6.1 სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

- სამეთვალყურეო საბჭო;

- ხელმძღვანელი ორგანო.

6.2 სააქციო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 7. აქციონერთა საერთო კრება

7.1 საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებისა და ორგანოებისათვის.

7.2 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა აქციონერს, რომელიც რეგისტრირებულია საზოგადოების აქციათა რეესტრში, აქციონერთა აღრიცხვის გამოცხადებული დღის მდგომარეობით. აქციონერთა კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებსა (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. მათ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა კრების საკითხებზე კენჭისყრაში, თუ ისინი არ წარმოადგენენ საზოგადოების აქციონერებს.

7.3 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებები მოიწვევა საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს (დირექტორატის) მიერ. თუ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში, არ იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, მაშინ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება.

7.4 აუცილებლობის შემთხვევაში, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორები) ვალდებულია, სულ მცირე 5 (ხუთი) პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.

7.5 თუ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

6 საზოგადოება წელიწადში ერთხელ, წლიური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ არ უგვიანეს 2 თვისა, ატარებს საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე კრება/კრებები, რომლის მოწვევის უფლება აქვთ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს (დირექტორატს).

7.7 საზოგადოების აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე მიიღება გადაწყვეტილება გასული წლის წლიური ბალანსისა და წმინდა მოგების განაწილების შესახებ, აგრეთვე მიიღება გადაწყვეტილება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს (დირექტორატის) მიერ საანგარიშო წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

7.8 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა (დირექტორების) მუშაობის მოწონება არ ათავისუფლებს მათ საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისგან.

7.9 საზოგადოების აქციონერთა კრების მომზადებისა და ჩატარების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება საზოგადოებას.

7.10 საზოგადოების აქციონერთა კრების მომზადება, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 188-ე მუხლის თანახმად, ევალება საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს (დირექტორატს).

7.11 საზოგადოების საერთო კრების მოწვევის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება აგრეთვე საზოგადოების ვებ-გვერდზე (მისი არსებობის შემთხვევაში).

7.12 საზოგადოების საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება/ესწრებიან ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონერი/აქციონერები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით მოიწვიოს განმეორებითი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მასზე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად. განმეორებითი სააქციო კრება მოწვეული უნდა იქნას არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

7.13 საზოგადოების აქციონერთა კრებას თავმჯდომარეობს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მის არყოფნისას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მის არყოფნისას საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი). მათი არ ყოფნისას კრების თავმჯდომარეს, ხმათა უმრავლესობით, ირჩევს საერთო კრება.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ---------- ელგუჯა ბუბუტეიშვილი

7.14 საზოგადოების საერთო კრების გახსნამდე ტარდება საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერებისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაცია. აქციონერები და მათი წარმომადგენლები, რომლებსაც რეგისტრაცია არ გაუვლიათ, კვორუმის განსაზღვრაში არ მონაწილეობენ და მათ არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში. აქციონერებს და მათ წარმომადგენლებს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლიათ საერთო კრებაზე დაუსწრებლადაც, ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

7.15 საზოგადოების აქციონერთა კრებაზე კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ ¾-ით შეიძლება განისაზღვროს წესდებით დადგენილი კენჭისყრის ფორმისაგან განსხვავებული კენჭისყრის ფორმა.

7.16 საზოგადოების აქციონერთა კრების თავმჯდომარემ საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს, მათი თხოვნით, საერთო კრებაზე უნდა მისცეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შესაძლებლობა.

7.17 კენჭისყრის შედეგები უნდა გამოცხადდეს საერთო კრებაზე.

7.18 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი და მას ხელს აწერენ ნოტარიუსი და საერთო კრების თავმჯდომარე. აქციონერთა კრების ოქმი უნდა გაფორმდეს არა უგვიანეს 15 დღისა, აქციონერთა კრების ჩატარების თარიღიდან. აქციონერთა საერთო კრების ოქმში აღსანიშნი/შესატანი საკითხები ჩამოთვლილია „მეწარმეთა კანონის" მე-200 მუხლში. კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

7.19 საზოგადოების აქციონერთა კრების ოქმი, მისი ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოების ვებგვერდზე (მისი არსებობის შემთხვევაში).

7.20 საზოგადოება ვალდებულია აქციონერს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 202-ე მუხლის შესაბამისად.

<u>მუხლი 8. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია</u>

8.1 აქციონერთა საერთო კრების კომპეტენცია განისაზღვრება ამ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 184-ე, 185-ე და 224-ე მუხლების შესაბამისად, გარდა 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა. 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენცია და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, 184-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გადაცემულია ხელმძღვანელ

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

ოფისზე (გენერალურ დირექტორზე) და განსაზღვრულია წესდების მე-19 მუხლის 19.4 პუნქტით.

8.2 აქციონერის ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე განისაზღვრება მისი კუთვნილი აქციების რაოდენობით.

8.3 აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, გარდა სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და წესდებაში შესატანი ცვლილებებისა, რომლებზეც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ¾-ის უპირატესობა.

8.4 საზოგადოების რეორგანიზაციის - გარდაქმნის, შერწყმის (მიერთების ან გაერთიანების), გაყოფის (დაყოფის ან გამოყოფის) შემთხვევებში გადაწყვეტილება მიიღება აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა ხმების ¾-ის უმრავლესობით. საერთო კრების მოწვევასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს შესაქმნელი საწარმოს დასამტკიცებელი წესდების პროექტი, გარდაქმნის მიზეზები და მიზნები.

8.5 გარდაქმნის პირობები მოცემულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 62-76 მუხლებში.

8.6 საზოგადოების დაშლა-ლიკვიდაციის პირობები მოცემულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 78-90-ე მუხლებში.

<u>მუხლი 9. აქციათა რეესტრი</u>

9.1 საზოგადოების აქციათა რეესტრს აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აქციონერთა რიცხვის 50-მდე შემცირების შემთხვევაში აქციათა რეესტრი შეიძლება აწარმოოს თვით საზოგადოებამ.

9.2 აქციათა რეესტრში აქციონერებისა და მათი უფლების რეგისტრაციისთვის პასუხისმგებელია კანონმდებლობით განსაზღვრულ აქციათა რეესტრის წარმოების უფლებამოსილი პირი.

9.3 აქციაზე საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე აქციონერის უფლებები წარმოიშობა აქციათა რეესტრის ჩანაწერში აღრიცხვის მომენტიდან.

9.4 აქციონერის აქციაზე საკუთრების უფლება დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით. აქციათა რეესტრიდან ამონაწერის გაცემისათვის პასუხისმგებელია აქციების რეგისტრატორი.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

მუხლი 10. საზოგადოების განთავსებული კაპიტალი

10.1 საზოგადოების განთავსებული კაპიტალი შეადგენს 10 353 989,13 ლარს, სულ განთავსებულია 1 813 667 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც დემატერიალიზებულია. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 5,70887 ლარს.

10.2 განთავსებული კაპიტალის ოდენობა აღინიშნება საზოგადოების ბალანსში.

10.3 განთავსებული კაპიტალის ცვლილება შეიძლება მოხდეს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 11. აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება

11.1 საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, აქციათა მფლობელ აქციონერებს, საკუთარი წილის პროპორციულად, აქვს ახლად გამოშვებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება.

მუხლი 12. აქციონერთა უფლება - მოვალეობანი

12.1 საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესებით:

- მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის გზით.

- მიიღონ ყოველგვარი ინფორმაცია საზოგადოების აქციონერთა კრების დღის წესრიგის ყველა საკითხზე.

- გააკონტროლონ საზოგადოების საქმიანობა, კანონით დადგენილი წესით.

- მოიწვიონ რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრება, კანონით დადგენილი წესით.

- გაასაჩივრონ აქციონერთა კრების გადაწყვეტილება.

- მიიღონ დივიდენდები.

- ერთი აქცია უზრუნველყოფს აქციონერისთვის ერთი ხმის უფლებას.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

...ციონერებს აქვთ უფლება აქციონერთა კრებაში მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენელთა მეშვეობით.

- თავისუფლად განკარგონ თავიანთ საკუთრებაში არსებული აქციები.

12.2 აქციონერები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ აქციონერთა კრების მეშვეობით.

12.3 აქციონერებს შეუძლიათ ხმის უფლება გამოიყენონ როგორც საზოგადოების, ისე საკუთარი ინტერესებისათვის; კენჭისყრაში აქციონერი არ მონაწილეობს, როცა იხილება საკითხი მასთან გარიგების დადების, მის ანგარიშის დამტკიცების, საქმიანობიდან მისი გათავისუფლების შესახებ, ამ დროს აქციონერს უფლება არ აქვს გამოიყენოს თავისი ხმის უფლება.

12.4 საზოგადოების აქციონერის მოვალეობაა:

- შეიტანონ შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად;

- დაიცვან საზოგადოების წესდება;

- დაიცვან საზოგადოების კომერციული საიდუმლოება და არ გასცენ კონფიდენციალური ინფორმაცია;

- თავისი მოქმედებით ზიანი არ მიაყენონ საზოგადოებას;

- თავის საქმიანობაში იხელმძღვანელონ მეწარმეთა ეთიკით;

- სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეესტრში.

- შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან კანონიდან გამომდინარე, წესდებით.

- გამოიყენოს ამ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სხვა უფლებები.

<u>მუხლი 13. სამეთვალყურეო საბჭო</u>

13.1 სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

13.2 სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

13.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი.

13.4 სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს 3 წლის ვადით ირჩევს აქციონერთა საერთო კრება, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა, მისი ამოწურვის შემდეგ, ავტომატურად გრძელდება აქციონერთა მომდევნო საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება ახალი ვადით აირჩეს.

13.5 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს გამოწვეული სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან. ეს გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

13.6 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებას; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს საპატიო მიზეზი.

13.7 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი (დირექტორი).

13.8 საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) ვალდებულია გამოაქვეყნოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და მის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით. ეს ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოების ვებგვერდზეც (მისი არსებობის შემთხვევაში).

13.9 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო თავის წევრთაგან, კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თუ კანდიდატები თანაბარი რაოდენობით ხმებს მიიღებენ, მაშინ არჩეულად ითვლება მათ შორის უხუცესი კანდიდატი. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს (მისი არყოფნისას საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს მისი მოადგილე), რომლებიც წარმოადგენენ სამეთვალყურეო საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობებში.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია

14.1 სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

14.1.1 „მეწარმეთა შესახებ" კანონის 204-ე მუხლის შესაბამისად დანიშნოს თანამდებობაზე საზოგადოების ხელმძღვანელი პირები (დირექტორები) 3 წლის ვადით;

14.1.2 გაათავისუფლოს საზოგადოების ხელმძღვანელები (დირექტორები) თანამდებობიდან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად.

14.1.3 განახორციელოს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი.
14.1.4 საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოში რამდენიმე პირის არსებობისას დანიშნოს ერთ-ერთი მათგანი ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ რომლის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს წევრის უფლებამოსილების ვადას.

14.1.5 მოითხოვოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოდან (დირექტორატიდან) ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

14.1.6 განახორციელოს საზოგადოების ქონებრივი ობიექტების, საქონლის მდგომარეობის და ბუღალტრული დოკუმენტაციის შემოწმება და კონტროლი.

14.1.7 მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წევრთა (დირექტორების) ბრალეული მოქმედების გამო წარმართულ სასამართლო დავების განხილვაში. ამ დროს იგი წარმოადგენს საზოგადოებას.

14.2 სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია:

14.2.1 კეთილსინდისიერად განახორციელოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოსთან/პირებთან ურთიერთობებში.

14.2.2 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე, შესაბამის შემთხვევაში, ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები პასუხისმგებლობის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა

15.1 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც.

15.2 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მისი არყოფნის დროს მისმა მოადგილემ.

15.3 სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება ჩაატაროს ამ საბჭოს თავმჯდომარემ, ან მისი არყოფნისას მისმა მოადგილემ.

15.4 სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების უფლების მოთხოვნის უფლება აქვთ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოსა (დირექტორატისა) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში ჩაატაროს სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა. თუ ამ ვადაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომა უნდა ჩაატაროს ამ რიგგარეშე სხდომის მომთხოვნმა.

15.5 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. მისი არყოფნისას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არ ყოფნისას - სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დამსწრე მისი უხუცესი წევრი.

15.6 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომისა და ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისათვის პასუხისმგებელია ამ ოქმზე ხელმომწერი პირები.

მუხლი 16. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები

16.1 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი.

16.2 თუ სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, არაუგვიანეს 10 დღისა, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, კენჭისყრაში მონაწილე საბჭოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

16.3 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს აქვს 1 ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის

შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, მისი არყოფნისას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხმა, ხოლო მათი არ ყოფნის დროს - კენჭისყრაში მონაწილე უხუცესი წევრის ხმა.

16.4 სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება მისი სხდომის ოქმში ჩანაწერით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება

17.1 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურება დგინდება საზოგადოების აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების ფინანსურ შესაძლებლობებს.

17.2 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს წარმატებული მუშაობისთვის შეიძლება მიეცეს წინასწარ დადგენილი წესით განსაზღვრული პრემიები და სხვა ბონუსები.

17.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება, სტრუქტურა და გაცემის პერიოდულობა დგინდება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

მუხლი 18. სააქციო საზოგადოების კომიტეტები

18.1 სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია თავისი წევრებისგან შექმნას კომიტეტები, რომელთა მიზანი სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან ერთად, იქნება საბჭოს სხდომების მოწვევის ან მათზე განსახილველი საკითხების მომზადება და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.
18.2 კომიტეტების ხელმძღვანელებმა სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.
18.3 კომიტეტების სახელწოდებები და რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს წესდებით.
18.4 სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები არ შეიძლება სრულად გადაეცეს კომიტეტებს.

მუხლი 19. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო

19.1 საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის საზოგადოებაში იქმნება ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი).

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

19.2 საზოგადოებას ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) მართავს საკუთარი პასუხისმგებლობით.

19.3 საზოგადოებას ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) თავის ფუნქციების შესრულებისას ვალდებული არ არის შეასრულოს აქციონერთა კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მითითებები, გარდა კანონითა და წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი) ვალდებულია მოამზადოს ყველა საკითხი, რომელთა გადაწყვეტაც აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

19.4 საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი) უფლებამოსილია დააფუძნოს საზოგადოების ფილიალები, სააგენტოები, ერთობლივი და შვილობილი საწარმოები, სხვა იურიდიული პირები, განსაზღვროს წილობრივი მონაწილეობის საკითხები და დანიშნოს ჩამოთვლილი საწარმოების ხელმძღვანელები და ერთობლივი საწარმოების საზოგადოების მხრიდან დასანიშნი ხელმძღვანელები, ამ პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გადაწყვეტილების ასლები უნდა გადასცეს სამეთვალყურეო საბჭოს არაუგვიანეს მათი მიღებიდან 5 სამუშაო დღეში.

19.5 ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან წესდებით არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება საზოგადოებას ხელმძღვანელი ორგანოს (დირექტორატის) კომპეტენციას.

19.6 საზოგადოებას ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი) საზოგადოებას მართავს ერთპიროვნულად და მას აქვს წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

19.7 საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს პირები (დირექტორები) თანამდებობაზე ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არაუმეტეს 3 წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდა ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

19.8 ხელმძღვანელ პირს (დირექტორს) უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან ნებისმიერ დროს, რის შესახებაც უნდა აცნობოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს, გადადგომამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აქვს საპატიო მიზეზი.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

19.9 საზოგადოებას ხელმძღვანელი პირის (გენერალური დირექტორის) უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი, როგორც ხელმძღვანელი ორგანოს წევრის, უფლებამოსილების ვადას.

19.10 საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი) ვალდებულია აქციონერთა საერთო კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

19.11 იმ გარიგებებზე (კაპიტალდაბანდებათა შეძენა-გასხვისების, უძრავი ქონებისა და სხვა ქონების შეძენა-გასხვისებისა და უფლებრივი დატვირთვის, აგრეთვე სესხებისა და კრედიტების აღების, გაცემის, უზრუნველყოფის, თავდებობისა და სხვა გარიგებების), რომელთა ღირებულება არ აღემატება საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს, გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი).

მუხლი 20. ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

20.1 საზოგადოებას ხელმძღვანელ პირთა (დირექტორების) შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მისი გაცემის წესს განსაზღვრავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, საზოგადოების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ შეიძლება განსაზღვროს საზოგადოების ხელმძღვანელ მუშაკთათვის წახალისებისა და ბონუსების გაცემის წესი, რომელიც უნდა დაამტკიცოს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებამ.

მუხლი 21. ხელმძღვანელ პირთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება

21.1 საზოგადოებას ხელმძღვანელი ორგანოს თანამდებობრივ პირებთან (დირექტორებთან) საზოგადოების სახელით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დებს სასამსახურო ხელშეკრულებას.

21.2. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან საზოგადოების სახელით სასამსახურო ხელშეკრულებას დებს აქციონერთა იმ საერთო კრების თავმჯდომარე, რომელმაც აირჩია სამეთვალყურეო საბჭო. იმ შემთხვევაში თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ამრჩევ აქციონერთა საერთო კრებას თავმჯდომარეობდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მაშინ მასთან სასამსახურო ხელშეკრულებას დებს ზემოთხსენებული

აქციონერთა კრების მდივანი. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის ნოტარიუსის მიერ შედგენის შემთხვევაში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან სასამსახურო ხელშეკრულებას დებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ის მდივანი, რომელზეც არჩეული იქნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

21.3 სასამსახურო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა და პერიოდულობა, სამსახურებრივი პრივილეგიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებსაც ხელმძღვანელი პირი მიიღებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, აგრეთვე მისი უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც იმოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. ხელშეკრულების დამდებ ხელმძღვანელ პირს/სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლება აქვს მოშალოს სასამსახურო ხელშეკრულება და ამით უარი თქვას თანამდებობაზე, თუკი ამის შესახებ სულ მცირე 1 თვით ადრე წერილობით მიმართავს საერთო კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს (იმის მიხედვით თუ ვინ დანიშნა ან აირჩია იგი თანამდებობაზე), გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.

21.4 ხელმძღვანელი პირის/სამეთვალყურეო წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება ავტომატურად იწვევს მასთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტას, გათავისუფლების თარიღიდან.

მუხლი 22. ზრუნვის მოვალეობა

22.1 ხელმძღვანელი პირი/სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით რომ ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელია.

22.2 კეთილსინდისიერი მოვალეობის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისათვის ხელმძღვანელი პირი/სამეთვალყურეო საბჭოს წევრი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე.

22.3 ხელმძღვანელმა პირმა, გადახდის უუნარობის ან გადახდის უუნარობის საშიშროების შემთხვევაში, გაჭიანურების გარეშე, ასეთი ვითარების შექმნიდან არა უგვიანეს 3 კვირისა უნდა განაცხადოს გადახდის უუნარობის შესახებ „რეაბილიტაციისა და კრედიტორის კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

მუხლი 23. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

23.1 საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

23.2 აუდიტის განხორციელებაში სააქციო საზოგადოების აქციონერების, მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

23.3 სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

მუხლი 24. საქმიანი წერილი და ვებგვერდი

24.1 საზოგადოების საქმიან წერილზე მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) საფირმო სახელწოდება

ბ) იურიდიული მისამართი

გ) საიდენტიფიკაციო ნომერი

დ) ლიკვიდაციის ან გადახდის უუნარობის პროცესში ყოფნისას დამატებით უნდა იყოს მითითებული „ლიკვიდაციის პროცესში" ან „გადახდის უუნარობის პროცესში".

24.2 ყველა მონაცემი, რომელიც მიეთითება საქმიან წერილზე, უნდა მიეთითოს აგრეთვე საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

24.3 ამ მუხლის მოთხოვნები ეხება, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით შედგენილ წერილებს.

24.4 ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

მუხლი 25. დასკვნითი დებულებები

25.1 წესდების ეს ცვლილებები ამოქმედდეს ამ ცვლილებების გათვალისწინებით კონსოლიდირებული წესდების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციის თარიღიდან.

25.2 ამ წესდების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 25.02.2026 წლის N: B26027588/5 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული წესდება.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე,
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: ელგუჯა ბუბუტეიშვილი

Notary. Tea Eldishera-Tsashvili
GEORGIA. NOTARY TEA ELDISHERA-TSASHVILI
ГРУЗИЯ. НОТАРИУС ТЕА ЭЛДИШЕРА-ЦАШВИЛИ

Notary Tea Edishvili
GEORGIA NOTARY TEA EDISHVILI
ГРУЗИЯ НОТАРИУС ТЕА ЭДИШВИЛИ
31021004649